დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

წევრები:

ელენე კაკაბაძე

გიორგი ნაჭყეპია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406056173

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმური**

☐ **არაგეგმური**

☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 9 ოქტომბრის №1333508 ბრძანების (ცვლილება 20.10.2023 №1412761) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მიერ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ა", "გ", "დ", "ე" ქვეპუნქტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ინფორმაციის ტექნოლოგია" 31-ე მუხლის-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შემოწმების მიზნით გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208, ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის გეგმური მონიტორინგის მასალები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი ქ. თბილისში, ხოლო 25 ოქტომბერს - ქ. საჩხერეში.

დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მონიტორინგის დასკვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქ. თბილისის განყოფილება	**საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები (2018 წლიდან)	180	88	73	-
ვებტექნოლოგიები (2020 წლიდან)	120	56	64	-
ინფორმაციის ტექნოლოგია (2018 წლიდან)	**50**	**-**	**82**	-
საექთნო განათლება (2019 წლიდან)	168	74	30	-
საოფისე საქმე (2019 წლიდან)	40	-	25	-
საბაჟო საქმე (2019 წლიდან)	40	-	15	-
ელექტროობა (2019 წლიდან)	30	-	48	-
მშენებლობის მწარმოებელი (2019 წლიდან)	30	30	35	-
აღმზრდელი (2021 წლიდან)	80	40	17	-

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქ. საჩხერის განყოფილება	**საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა**	**აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**	**სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა**
აღმზრდელი (2020 წლიდან)	44	13	9	-
საექთნო განათლება (2020 წლიდან)	126	40	3	-
ინფორმაციის ტექნოლოგია (2019 წლიდან)	30	-	4	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვაში ჩართული ჰყავს ფსიქოლოგ-კონსულტანტი, რომლის ფუნქცია-მოვალეობებია: აკადემიის პერსონალისათვის (ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები) და სტუდენტებისათვის ფსიქოლოგიური კონსულტირება, აკადემიის პერსონალთან და სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების ჩატარება, აკადემიის პერსონალისა და სტუდენტებისათვის დარგობრივი საჯარო ტრენინგების ჩატარება, აკადემიის მიერ ადამიანური რესურსების შერჩევაში მონაწილეობის მიღება (მათ შორის, შესარჩევი კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება, გასაუბრებაზე დასწრება). დაწესებულების ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ფსიქოლოგ-კონსულტანტის ჩართულობამ კარგი შედეგი აჩვენა პერსონალის მართვის პოლიტიკის გადამუშავების ეტაპზე, პერსონალის საჭიროებების დადგენისას.

- აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO 9001:2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით. აკადემიის პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, მონაცემების დამუშავება და მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

- აკადემიამ დააფუძნა სასწავლო საწარმო, რომლის ფარგლებშიც „ვებტექნოლოგიების“ პროგრამის პროფესიული სტუდენტები დამოუკიდებლად ასრულებენ სხვადასხვა კომპანიის მიერ დაკვეთილ პროექტებს. საწარმოში გაწევრიანებულმა პროფესიულმა სტუდენტებმა ორ საჯარო სკოლას შეუქმნეს ვებგვერდი. აღნიშნული იყო პირველი პრეცენდენტი სისტემაში და ამისათვის, აკადემიას მიღებული აქვს მადლობის წერილები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოსაგან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ინფორმაციის ტექნოლოგია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

-

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში. კოლეჯის მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რადგან პრიორიტეტად განსაზღვრული აქვს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება. ასევე, მიზნად ისახავს მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას, ინოვაციური მიდგომებით მაღალი სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზებას. დაწესებულების მისია პასუხობს შემდეგ კითხვებს: რისთვის არსებობს ორგანიზაცია, ვინ არიან მომხმარებლები და მათი რა კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილებას ცდილობს ორგანიზაცია თავისი საქმიანობით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.

2. დაწესებულების მისიით განსაზღვრულია მისი მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მახასიათებლები და მისი როლი განათლების სისტემაში, მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება აკადემიას საკუთარ მისწრაფებად აქვს გაცხადებული. რის შესაბამისადაც, იკვეთება მისი როლი ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში. კოლეჯის მიერ შემუშავებული მისია არის მოკლე, გასაგები, მამოტივირებელი და ხაზს უსვამს, რომ ორიენტირებულია საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაზე.
ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან.

3. დაწესებულების ხედვაა, 2025 წელს აღიარებულ იქნას ხარისხთან ასოცირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებად, რასაც დაწესებულების წარმატებაზე და პროფესიონალიზმზე ორიენტირებული მტკიცე გუნდი და მრავალფეროვანი პარტნიორობა განაპირობებს. ხოლო ღირებულებებში განსაზღვრულია ის ძირითადი პრინციპები, რაზე დაყრდნობითაც, აკადემია გეგმავს მისიასა და ხედვაში დასახული ამოცანების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალიზებას. ესენია: განათლების ხელმისაწვდომობა, განვითარებისკენ სწრაფვა, სამართლიანობა, პიროვნებაზე ორიენტირებულობა, პროფესიონალიზმი და რეპუტაციაზე ზრუნვა. აკადემიის **ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან, ამდენად, ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის დოკუმენტის ნაწილს. ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ მისიის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესი იყო და შემუშავებაში ჩართული იყვნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პარტნიორი ორგანიზაციები. აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგიის შესაბამისად, აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები, საჯაროობის და გაზიარების უზრუნველსაყოფად, განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე და გამოკრულია კოლეჯის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.
ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით, სოციალურ ქსელებში განთავსებული სიახლეებით, ელექტრონული ფოსტის მიმოწერითა და გასაუბრებებით დგინდება, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდსა და facebook-ის გვერდზე. **ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2022 წლის 04 მარტის №2/28 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია“;
- ვებგვერდით და Facebook გვერდით;
- მიმოწერით;
- ფოტომასალით.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის რექტორის 2022 წლის 04 მარტის №2/28 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგია“, რომლითაც გაწერილია კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვის, დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესსა და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის/შეფასების პროცესსა და შედეგებზე რეაგირების მექანიზმებს, ამ პროცესში ჩართული პერსონალის უფლება-მოვალეობებს, სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცების/ცვლილებების წესსა და პირობებს. ამ დოკუმენტის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს ორგანიზაციულ განვითარებაზე მიმართულ პროცესს, რომლის მიზანია კოლეჯის მისიის, მიზნებისა და მათი მიღწევის პოტენციურ შესაძლებლობებს შორის შესაბამისობის დადგენა, რაც უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებას, გარე სამყაროსთან ორგანიზაციის ადაპტირებას, შინაგან კოორდინაციასა და ორგანიზაციული სტრატეგიის შეცნობას. სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე. ხოლო სამოქმედო გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, ერთწლიან პერიოდში დაგეგმილ აქტივობებს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მტკიცებულებებს/ინდიკატორებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს, ჩართულ მხარეებს, რესურსებსა და რისკებს.

   აკადემიის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2022 წლის 1 აპრილის №2/49 ბრძანებით, ცვლილებები შესულია რექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის №2/171 ბრძანებით, სადაც ასახულ იქნა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის განახლების შედეგად განხორციელებული ცვლილებები.

   ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული დაგეგმვა განიხილება როგორც თანამონაწილეობითი პროცესი, რაც უზრუნველყოფს აკადემიის პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის ძირითადი მიდგომები გუნდურობა და თანამონაწილეობაა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ხორციელდება გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას, პროცესში ჩართული/დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას და საშუალებას მისცემს მათ კოლეჯის განვითარებაზე საკუთარი ხედვის გამოხატვის საშუალებას.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეაფასეს დაწესებულებაში მიმდინარე სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი 2017 წლიდან. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის და განხორციელება მიმდინარეობდა აკადემიის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. დაგეგმვაში ჩართულნი იყვნენ პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და ა.შ. დოკუმენტები გაზიარებული იყო დაწესებულების ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. პროცესის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა დასწრების ფურცლები, ფოტო-მასალა, ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებული სიახლეები.
ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.
3. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს, რომელიც აღწერს კოლეჯის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და საქმიანობებს. იგი მოიცავს გრძელვადიან ხედვებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგიული გეგმა გათვლილია 7 წელზე. სტრატეგიული გეგმა ასახავს კოლეჯის სამომავლო განვითარების პრიორიტეტებსა და მიდგომებს. იგი მკაფიოდ წარმოაჩენს კოლეჯის განვითარების შესაძლებლობებს, არსებულ გამოწვევებსა და მათი დაძლევის მექანიზმებს. სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს გრძელვადიანი პერსპექტივით ორგანიზაციული განვითარების მიმართულებათა დადგენას, არსებული რესურსების იდენტიფიცირებას, დამსაქმებელთა მოთხოვნებისა და გარემომცველი ფაქტორების გათვალისწინებას. სტრატეგიული გეგმა უზრუნველყოფს კოლეჯში ჩართული/დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას მის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამ მიზნების ფარგლებში გადანაწილებული პასუხისმგებლობების შესახებ და აჩვენებს დაინტერესებულ მხარეებს, თუ რისკენ ისწრაფვის კოლეჯი. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაში უნდა იყოს დაწესებულების მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში გაცხადებულ მიზნებთან.
აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია მისიასთან თავსებადი 4 სტრატეგიული მიზანი: ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, სასწავლო პროცესისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება და საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება. მიზნები ჩაშლილია სტრატეგიულ ამოცანებად, გაწერილია ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები და შესრულების პერიოდი.
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამატებით მოიცავს ინფორმაციას ამოცანების შესასრულებლად საჭირო აქტივობების, ინდიკატორების, მტკიცებულებების, პასუხისმგებელი პირების, რესურსებისა და განხორციელების პერიოდის შესახებ. სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით, მეთოდოლოგიის შესაბამისად.
დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. ამდენად, ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 2022 წლის 04 მარტის №2/28 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“;
- აკადემიის რექტორის 2022 წლის 1 აპრილის №2/49 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი(2022-29 წწ) გეგმა“;
- აკადემიის რექტორის 2023 წლის 31 მარტის №248 ბრძანებით დამტკიცებული ერთწლიანი (2023-24 წწ..) სამოქმედო გეგმა.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ მონიტორინგი არის გეგმის შესრულების თვალყურის დევნება და დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზება/ შეფასება. როგორც უკვე აღინიშნა, მონიტორინგის წყალობით შესაძლებელია გეგმიდან „ გადახვევების“ დროული აღმოჩენა და მათზე რეაგირება არსებითი ზიანის დადგომამდე. იგივე მეთოდოლოგით გაწერილია გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცედურა. ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშის მომზადება ხდება 6 თვის შემდეგ, ხოლო საბოლოო ანგარიშის - სრული 1 წლის დასრულებისას. სამოქმედო გეგმის ერთ წლიანი ანგარიში ამასთანავე წარმოადგენს შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმის შუალედურ ანგარიშს. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განხილულია შემდეგი საკითხები: რა შესრულდა, რისი განხორციელება შეფერხდა, რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტუალობა და საჭიროა, რომ ამოღებული იქნას გეგმიდან, რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო, როგორ მივყვებით განხორციელების ვადებს და ა.შ.

   ექსპერტთა მიერ შესწავლილი დაწესებულების დოკუმენტაციისა და პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგად, გაირკვა, რომ დაწესებულება მეთოდოლოგიის შესაბამისად, რეგულარულად ახდენს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას და აღნიშნულ პროცესში ჩართულნი არიან დაინტერესებული მხარეები. ამის მტკიცებულებად წარმოდგენილია სამოქმედო გეგმების ანგარიშები, დასწრების ფურცლები, ფოტო-მასალა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, ამდენად, ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად, ამ დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურის დაცვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და ანგარიშგების პროცესს ხელმძღვანელობს რექტორის მიერ განსაზღვრული პირი ან სამუშაო ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგებს წარუდგენს კოლეჯის რექტორს. .სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები განიხილება გაერთიანებულ სხდომაზე. სხდომაზე მიიღება გადაწყვეტილება პროცესის გაუმჯობესების რეკომენდაციებისა და წინადადებების გაზიარების თაობაზე. ამავე სხდომაზე განისაზღვრება შემდგომი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს პროცესის სრულფასოვან დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და განვითარებას.
აკადემიის რექტორის 2022 წლის 4 მარტის №2/28 ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი სტრატეგიული დაგეგმვის მიმართულებით, რომელიც პერიოდულად იკრიბება მეთოდოლოგიით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად და განიხილავს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შეფასების საკითხებს. მიმდინარე წელს, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ცვლილებიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფის ინიცირებით განხორციელდა ცვლილება აკადემიის სტრატეგიულ გეგმაში და შეიცვალა პასუხისმგებელი პირები.
ამდენად, ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია, პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები 2017 წლიდან განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე: www.bta.edu.ge და ხელმისაწვდომია საჯაროდ, დაინტერესებული პირებისათვის. **ამდენად, ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 2022 წლის 04 მარტის №2/28 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასები მეთოდოლოგიით“;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშებით;
- აკადემიის ვებგვერდით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით (ცვლილება - რექტორის ბრძანება №2/157 (03.10.2023) დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით, საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში, კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, მიიღოს მონაწილეობა ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავებაში, კოლეჯის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასებაში და განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები. აღნიშნული წესი ასევე ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, აღდგენას, შეწყვეტას, მობილობას, ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას, ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ წესს.
   ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე შესწავლილი იქნა სტუდენტთა პირადი საქმეები, ხელშეკრულებები, შერჩევასა და ჩარიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტები, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის მაგალითები. წარმოდგენილი დოკუმენტები სრულად შეესაბამებოდა რეგულაციებით გაწერილ პროცედურებს. არასრულწლოვანი პირების ხელშეკრულებები წარმოდგენილი იყო კანონიერი წარმომადგენელის მიერ დადასტურებული ხელმოწერითა და შესაბამისი დოკუმენტაციით.
   ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, აკადემიის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. აკადემია სასწავლო პროცესთან ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებს აცნობს მარეგულირებელ დოკუმენტებს: სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, ელექტრონული სწავლების წესს, ეთიკის კოდექსს, პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სტრატეგიას, საქმისწარმოების წესს, მატერიალური რესურსების გამოყენების წესს, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებს, სახანძრო და შრომის უსაფრთხოების მარეგულირებელ წესებს.
   დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი, რომელშიც ასახულია ინფორმაცია სტუდენტის უფლებების, ვალდებულებების, მარეგულირებელი აქტების, საკონტაქტო პირების, დასაქმებისა და სხვა საჭირო საკითხების შესახებ. გზამკვლევი ატვირთულია კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე და პროფესიულ სტუდენტებს გაგზავნილი აქვთ ელექტრონულ ფოსტაზე.
   პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (თბილისის და საჩხერის ლოკაციებზე) გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აკადემიის ადმინისტრაციისაგან იღებენ ამომწურავ ინფორმაციას მათი უფლებების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ.
   ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელ წესს, რომელიც მოიცავს: კომპეტენციებზე დაფუძნებულ შეფასების სისტემას, მიდგომებს, სახეებს, მიმართულებებს, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვალიდაციას, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრება, აპელაციის პროცედურას. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, კერძოდ, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას შეფასების სისტემასთან დაკავშირებით სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლების და მოდულის განმახორციელებლის მიერ.
   პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (თბილისის და საჩხერის ლოკაციებზე) გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ მოდულის განმახორციელებელმა მასწავლებელმა და სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომელმა გააცნო სწავლის შედეგების შეფასების და აპელაციის პროცედურები, თუმცა არცერთ სტუდენტს გაუსაჩივრებია შეფასება.
   ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხელშეკრულების ნიმუშს, რომელსაც აკადემია პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში, კანონიერ წარმომადგენელთან აფორმებს. აღნიშნული ხელშეკრულებით რეგულირდება აკადემიისა და პროფესიული სტუდენტის ურთიერთობები. ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს: აკადემია ვალდებულია მისცეს, ხოლო სტუდენტი უფლებამოსილია მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება, რაც ამასთანავე აკადემიის მხრიდან პროფესიული სტუდენტისთვის უსაფრთხო და სათანადო მატერიალური რესურსებით სასწავლო გარემოს შექმნასა და აღჭურვას გულისხმობს. პროფესიული სტუდენტი თავის მხრივ, ვალდებულია, დაიცვას აკადემიის რეგულაციებით გათვალისწინებული ნორმები. პროფესიული სტუდენტი ხელმოწერით ადასტურებს, რომ აკადემიას აძლევს უფლებას, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა.

5. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება; პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს; პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით; ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში; სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება კონკრეტული პირისთვის ან პირთა ჯგუფისათვის, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს ან დგება ამის საჭიროება კონკრეტულ შემთხვევებში. მობილობის (შიდა/გარე), სტატუსის აღდგენის და სხვა შემთხვევების დროს რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ან/და რექტორის მოადგილე (საჩხერის განყოფილება) სასწავლო პროცესის სპეციალისტის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ახორციელებს პროფესიული სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. რექტორის მოადგილე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მოხსენებითი ბარათით წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად, რომელიც ამტკიცებს. დამტკიცებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების კონტროლს ახორციელებს სასწავლო პროცესის სამსახურის თანამშრომლები, ხოლო პროცესზე მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
ექსპერტები გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებმაც დეტალურად აღწერეს პროცესები და ასევე წარმოადგინეს აღნიშნული პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები და დაკვირვების ანკეტები).

ინდიკატორი 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით (ცვლილება რექტორის ბრძანება N2/157 (03.10.2023) დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს /კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ბრძანებები, მოხსენებითი ბარათები, სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები და დაკვირვების ანკეტები;
- აკადემიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის პროფესიულ სტუდენტებთან (თბილისის და საჩხერის ლოკაციაზე) გასაუბრებით გაირკვა, რომ დაწესებულების თანამშრომლები მათ აწვდიან შესაბამის ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციას: სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების საორგანიზაციო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახური გასცემს ცნობებს და საჭირო დოკუმენტაციას სტუდენტის სტატუსის, აკადემიური მოსწრების შესახებ. აკადემიის ადმინისტრაცია პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური თანამშრომლობისთვის: ორიენტირებულია გაარკვიოს სტუდენტის პრობლემა და საჭიროებები, სტუდენტის უკმაყოფილებას ეკიდება საქმიანად, აგვარებს პრობლემას და ახდენს შემდგომში მსგავსი შემთხვევის პრევენციას, საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს უთმობენ დამატებით დროს და პრობლემებზე და მომართვებზე ახდენენ შესაბამის რეაგირებას. ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს რამდენიმე შემთხვევა, როცა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიულმა სტუდენტებმა მიიღეს მხარდაჭერა დაწესებულების მხრიდან. ფოკუს-ჯგუფების მუშაობის შედეგად, გამოვლინდა სტუდენტებისათვის ინგლისურის ენის დამატებითი საათების სწავლების საჭიროება, რისთვისაც აკადემიის რექტორის ბრძანებით განისაზღვრა დამატებითი გაკვეთილები კვირაში ერთხელ 7 თვის განმავლობაში. გასაუბრებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ დამატებითი გაკვეთილები დაეხმარათ მათ დარგობრივ ინგლისურზე გადასვლის ეტაპზე. ამდენად, **ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი აკადემიისაგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.**
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე მუხლის შესაბამისად, აკადემია სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლების საწყის ეტაპზე ან /და ყველა ეტაპზე, როცა სასწავლო გარემო იცვლება, ამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველსაყოფად ხორციელდება: გაცნობითი სახის შეხვედრების ჩატარება მიღებულ სტუდენტთა ყველა ნაკადთან, სადაც შედგება პრეზენტაციები აკადემიის სერვისებისა და ზოგადად არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, შინაგანაწესის მოთხოვნების, სასწავლო პროცესის თავისებურებების, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ; სასწავლო პროცესის სამსახურია ვალდებული ხელი შეუწყოს სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან ან შესთავაზოს სტუდენტს შესაბამისი სერვისები/მხარდაჭერა საჭიროების მიხედვით კომპეტენციის ფარგლებში. ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, შეისწავლეს დოკუმენტები და ვიზუალური მასალა გაცნობითი ხასიათის შეხვედრების, ელექტრონულ ფოსტაზე მიმოწერისა და გზამკვლევების გავრცელების შესახებ, გაეცნენ აკადემიის სოციალური ქსელის სპეციალურ ჯგუფს პროფესიული სტუდენტებისათვის და დაადგინეს რომ **ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.**

3. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების გონივრულ ვადაში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. კერძოდ, გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენისთვის მიმართვიანობის ვადები, შიდა და გარე მობილობის, შედეგების დადასტურების/განმეორებით დადასტურებისა და გასაჩივრების, შუალედურ შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებასთან დაკავშირებული ვადები და პროცედურები და სხვა.

   ექსპერტები გავესაუბრეთ აკადემიის წარმომადგენლებს, რომლებმაც დამატებით წარმოგვიდგინეს პროცესების ამსახველი დოკუმენტები: ბრძანებები ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ როგორც თბილისის ისე საჩხერის ლოკაციაზე. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, აკადემია პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.**

4. აკადემია ხელს უწყობს და ახალისებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო, შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას. აკადემიაში სტუდენტური ინიციატივების/პროექტების პრიორიტეტული მიმართულებებია: საგანმანათლებლო აქტივობები, კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები, სპორტული ღონისძიებები, შემეცნებითი ღონისძიებები, საქველმოქმედო ღონისძიებები. პროცესებისა და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა განთავსებულია აკადემიის ვებ-გვერდზე, რაც ასევე სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა.
   აკადემიაში ფუნქციონირებს ეკო-კლუბი, გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით. პერიოდულად ეწყობა სპორტული ღონისძიებები, შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, გასვლითი ღონისძიებები როგორც საგანმანათლებლო, ისე გასართობი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საკუთარი და მოზიდული რესურსით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.**

5. აკადემიის რექტორის 2023 წლის 19 ოქტომბრის №2/175 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სტრატეგია, რომლის შესაბამისადაც პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან თანამშრომლობის ხარისხის კონტროლისათვის მნიშვნელოვანი მექანიზმია უკუკავშირის არსებობა, რაც საუკეთესო საშუალებაა იმის გასაგებად, რა შედეგს იღებს კოლეჯი სტუდენტთა/მსმენელთა მომსახურების პროცესში. უკუკავშირი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით: კითხვარების შევსება, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა, მიღებული განცხადებების ანალიზი, ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია და სხვა.
   აკადემიაში პროფესიული სტუდენტებისათვის პროცესების შესაფასებლად შემუშავებულია კითხვარები, რომლითაც ფასდება პროგრამა, მოდულები, თუ რამდენად კმაყოფილია პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესით, სასწავლო გარემოთი, საგანმანათლებლო რესურსებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებით, ადმინისტრაციის მუშაობით, კოლეჯის მიერ შეთავაზებული ამა თუ იმ სერვისით. მიღებული უკუკავშირის შედეგები კი გამოიყენება როგორც პროფესიული სტუდენტების მომსახურეობის გასაუმჯობესებლად, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შესაძლოა შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.
ექსპერტები გავესაუბრეთ პროფესიულ სტუდენტებს (თბილისის და საჩხერის ლოკაციაზე) და მათ დაგვიდასტურეს, რომ მონაწილეობდნენ კვლევაში, შეავსეს კითხვარები და გამოხატეს კმაყოფილება აკადემიის მხრიდან მათთვის შეთავაზებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის ბრძანება №2/157 (03.10.2023) დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიის რექტორის 19.10.2023 №2/175 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სტრატეგია;
- აკადემიის ვებ-გვერდი;
- აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა;
- აკადემიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის რექტორის 19.10.2023 №2/175 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სტრატეგის“ შესაბამისად, აკადემიაში მოქმედებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ეხმარება კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში. შექმნილია გვერდი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელიც ემსახურება აკადემიის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას. **ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის.**

2. აკადემია თბილისის და საჩხერის ლოკაციებზე პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინფორმირების მიზნით ახორციელებს კარიერულ ზრდაზე მიმართულ საინფორმაციო შეხვედრებს, ტრენინგებს, ფორუმებს. ინფორმაცია განთავსებულია აკადემიის როგორც ვებ-გვერდზე, ასევე სოციალურ ქსელში. აკადემიის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ აკადემია მათ პერმანენტულად აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, დასაქმების ფორუმებთან დაკავშირებით, წარმატებით დასაქმებული კურსდამთავრებულების შესახებ.
ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. აკადემიაში გამოკითხვები ტარდება ელექტრონულად Google forms - ფორმატში, საჭიროების შემთხვევაში სატელეფონო ინტერვიუს გზით. დაწესებულების კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისაც, რაოდენობრივი კვლევები ვალიდურად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს არსებული რესპოდენტების არანაკლებ 50%. თუ რაოდენობრივი კვლევის შედეგები არ არის ვალიდური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება თვისობრივი კვლევები ინდივიდუალური ინტერვიურებისა და ჯგუფური დისკუსიის (ფოკუს ჯგუფი) გზით. ფოკუს ჯგუფი შესაძლოა იყოს მინიმუმ 8-15 პირისაგან შემდგარი.
პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ორჯერ (პირველი პროგრამის განხორციელების შუა ეტაპზე და მეორე პროგრამის დასრულებამდე). კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საშუალებას აძლევს კოლეჯს დააკვირდეს, თვალყური ადევნოს საკუთარი კურსდამთავრებულების პროფესიულ განვითარებას. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ტარდება ყოველწლიურად. დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებს, რომლის შედეგადაც ირკვევა, რომ კვლევა ჩატარდა სამი პროგრამის ფარგლებში,. სადაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგი პროგრამის კურსდამთავრებულებმა - 1. ინფორმაციის ტექნოლოგია 2. აღმზრდელი; 3.საოფისე საქმე. თითოეული პროგრამიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო კურსდამთავრებულთა 50%-ზე მეტმა. კვლევის შედეგებიდან ჩანს რომ პროგრამამ კურსდამთავრებულთა მოლოდინები გაამართლა და კმაყოფილები არიან სწავლების ხარისხითა და სასწავლო გარემოთი. მათი მხრიდან განმავითარებელი რეკომენდაციებიც არ იკვეთება. თუმცა დასაქმების მაჩვენებელი დაბალია და 42 %-ს შეადგენს. შესაბამისად, გაცემულია რეკომენდაცია, რომ საჩხერის განყოფილების ადმინისტრაციის ჩართულობით, დაწესებულებამ გააძლიეროს აქტივობები დასაქმების კუთხით.
ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით.

4. კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები რეაგირებისთვის ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს/თანამშრომელს. მიღებული უკუკავშირის შედეგად აკადემია ზრუნავს მომსახურების ხარისხის დახვეწაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 19.10.2023 №2/175 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სტრატეგია;
- აკადემიის რექტორის 31.01.2022 №2/13 (ცვლილება 08.09.2023 N2/139) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- https://www.facebook.com/Bta: და აკადემიის ვებგვერდი;
- აქტივობების და ღონისძიებების დამადასტურებელი ფოტომასალა;
- აკადემიის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიას რექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრუქტურა და თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება). აკადემიას ჰყავს მმართველი ორგანოები (პარტნიორთა კრება, რექტორი), ადმინისტრაციის და დამხმარე პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი და პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები. დებულება განსაზღვრავს, აკადემიის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პოზიციების (თბილისის და საჩხერის ლოკაციებზე) ფუნქცია-მოვალეობებს. აკადემიას ხელმძღვანელობს რექტორი, რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება აკადემიის სადამფუძნებლო ან/და სხვა შესაბამისი შიდა ორგანიზაციული დოკუმენტებით. საშტატო განრიგით განსაზღვრული პოზიციებია: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში (თბილისის ლოკაცია), რექტორის მოადგილე (საჩხერის ლოკაცია), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, საქმისწარმოების მენეჯერი, სამართლებრივი უზრუნველყოფის მენეჯერი, ადამიანური რესურსების მენეჯერი, ბუღალტერი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის სპეციალისტი, კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, სასერტიფიკატო პროგრამების კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასერტიფიკატო პროგრამების განმახორციელებელი პირი, დაცვის სპეციალისტი, დასუფთავების სპეციალისტი.

ექსპერტთა მხრიდან ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, აკადემიაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

2. აკადემიაში მომუშავე პერსონალის თანამდებობები იყოფა შემდეგ სახეებად: ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი/ პროგრამის განმახორციელებელი პირი და დამხმარე პერსონალი. დაწესებულებაში მიმდინარე ყველა პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პოზიცია, რაც ასახულია სტრუქტურული ერთეულის/პოზიციის ფუნქციებში. დაწესებულების სტრატეგიული/სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს/აქტივობებს ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/პირი. ექსპერტების მიერ სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი ფუქცია-მოვალეობები არ დუბლირდება და შესაბამისად ისინი თავისი კომპეტენციების ფარგლებში იღებენ პასუხისმგებლობას სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ამოცანების/აქტივობების შესრულებაში. ექსპერტები გაესაუბრნენ საშტატო განრიგის შესაბამისად დანიშნულ თანამშრომლებს, განიხილეს მათი ანგარიშები და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მაგალითები, დასტურდება, რომ ისინი ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

3. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციით (დებულებით). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უზრუნველყოფს ხარისხის მართვის - „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება“ ციკლის უწყვეტობას, ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში და აღსრულების მონიტორინგში, შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმას, კომპეტენციის ფარგლებში ეცნობა შემოსულ კორესპონდენციას და ამზადებს პასუხებს, მონაწილეობს დაწესებულების მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენის/ცვლილებების განხორციელების/ანგარიშგების პროცესში, ხელმძღვანელობს/მართავს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სხვადასხვა მიმართულებით ატარებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევებს, ახდენს შედეგების ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს რეკომენდაციებს და აცნობს დაინტერესებულ პირებს, ამზადებს თვითშეფასებას და ასრულებს მოქმედი კანონმდებლობით და რექტორის მიერ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს კომპეტენციისა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის ფარგლებში. აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად და არ არის გადაკვეთა და ინტერესთა კონფლიქტი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობასთან. აღნიშნული დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 8.12. 2021 №1/40 ბრძანებით (ცვლილება 12.10.2023 №1/54) დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრუქტურა;
- „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საშტატო განრიგი, პოზიციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- აკადემიის შინაგანაწესი;
- აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამოქმედო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი შრომის კანონმდებლობის, აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკისა და შინაგანაწესის შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად, პოლიტიკა წარმოადგენს კვალიფიციური პერსონალის შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების საფუძველს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს, რათა დასაქმებულმა პირებმა თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული უნარ-ჩვევები. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია მრავალფეროვანი და ნიჭიერი პროფესიონალი პერსონალის მოზიდვის, განვითარების, წახალისებისა და შენარჩუნების მექანიზმების დანერგვა. პროდუქტიული სამუშაო გარემოს , სამართლიანი და ეთიკური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა. შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულია აკადემიის სტრუქტურა, თანამშრომელთა ვალდებულებები, სამუშაო და დასვენების დრო, შვებულება, შრომის ანაზღაურება, დისციპლინა, დისციპლინური წახალისება და პასუხისმგებლობა, პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პირობები და პასუხისმგებლობა, დავის მოგვარება.
   ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები, მათ შორის ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია კოლეჯის შინაგანაწესთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს შრომის კოდექსს და კოლეჯის სხვა მარეგულირებელ დოკუმენტაციას. განხორციელდა ინტერვიურება კოლეჯის პერსონალთან, მათი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაციის პირობებთან დაკავშირებით, პერსონალის დანიშვნა ხორციელდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით, ხოლო მართვა კანონმდებლობით და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების მიხედვით. მარეგულირებელი დოკუმენტაცია განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ხელშეკრულებებისა და პირადი საქმეების შესწავლის და კოლეჯის პერსონალთან გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში. დაწესებულების პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია მოვალეობების შესახებ, რაც ასევე ასახულია მათ შრომით ხელშეკრულებებში.
   ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის შესაბამისად.

2. ადამიანური რესურსების მენეჯერთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ აკადემიას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და სამუშაო აღწერილობები. აღნიშნული პოლიტიკა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის ბრძანებით, ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას და განსაზღვრავს კოლეჯში მაღალკვალიფიციური პერსონალის შერჩევას, დასაქმებასა და შენარჩუნებას. თანამშრომლების შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კოლეჯის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. კერძოდ: განვითარებაზე და შედეგზე ორიენტაცია, სიახლეებისადმი ღიაობა, პროფესიონალიზმი, შრომისმოყვარეობა, გუნდური მუშაობა, პასუხისმგებლობაა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს, როგორიცაა: თანასწორობა, კეთილსინდისიერება, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, თანაბარი შესაძლებლობები, გამჭვირვალობა, უფლების მართლზომიერად გამოყენება, პროფესიული განვითარება. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა , პროცედურები და წესები ეყრდნობა ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ციკლს.
   ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. აკადემიას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება), საშტატო განრიგი, პოზიციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეებიდან დადასტურდა მათი კვალიფიკაციის დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობა. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის შესაბამისად და პერსონალი იცნობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. ყველა პირად საქმეში განთავსებულია დაწესებულების მიერ განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.
ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

4. აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს თანამშრომელთა შორის ეფექტიანი ურთიერთობებისა და გუნდური მუშაობის ხელშეწყობას, ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას. აკადემიის მენეჯმენტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი პერიოდული შეკრებების, მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის, მსჯელობისა და გუნდური თანამშრომლობის რეჟიმში მონაწილეობენ ისეთ მნიშვნელოვან პროცესებში, როგორიცაა ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება, პროგრამის შემუშავება, დამსაქმებლებსა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრები და ა.შ. ექსპერტების ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკაა გუნდური თანამშრომლობა, საგანმანათლებლო საქმიანობასა და სხვადასხვა სახის განმავითარებელი ღონისძიებების დაგეგმვაში ჩართულობა.
ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 8.12. 2021 №1/40 ბრძანებით (ცვლილება 12.10.2023 №1/54) დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრუქტურა;
- „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საშტატო განრიგი, პოზიციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- აკადემიის შინაგანაწესი;
- აკადემიის რექტორის 2023 წლის 17 ოქტომბრის №2/163 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკა“;
- აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მე-15 მუხლის შესაბამისად, აკადემიის პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს დაწესებულების მართვის პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ ყველა პირს, საკუთარი ფუნქციები და მოვალეობები ეფექტურად განახორციელოს. პერსონალის საქმიანობის შეფასების პოლიტიკა ემყარება შემდეგ მიზნებს: მოახდინოს აკადემიის პერსონალის საჭიროებების, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მოახდინოს მათი კარიერული განვითარების გზების დასახვა; უზრუნველყოს კოლეჯის პერსონალის შესაბამისი შესაძლებლობების კვლევა შეფასებისა და თვითშეფასების გზით და ხელი შეუწყოს მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებას; უზრუნველყოს პერსონალის საჭიროების კმაყოფილების გამოვლენა. ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კვლევას ახორციელებს წინასწარ შემუშავებული კითხვარებით, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებით და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით სახავს პერსონალის განვითარებაზე მიმართულ შესაბამის ღონისძიებებს. 2023 წლის მაისში დაწესებულებაში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასება, პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად აღნიშნული შეფასება მოიცავდა ორ კომპონენტს: პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება სტრუქტურირებული ელექტრონული კითხვარის მეშვეობით (Google Forms -ის გამოყენებით) და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმის მეშვეობით (მატერიალურად). სტუდენტთა ელექტრონული გამოკითხვა აწარმოა ხარისხის მართვის სამსახურმა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასების ფორმები შეივსო მატერიალურად შესაბამისი პირის მიერ. მონაცემების შეჯერების შემდეგ შედგა რანჟირებული სია. მოხდა იმ მასწავლებელთა იდენტიფიცირება, რომლებმაც მოვალეობა/სამუშაო საუკეთესოდ შეასრულეს, ასევე გამოიკვეთა ის მასწავლებლები რომელთაც სჭირდებათ განმავითარებელ ღონისძიებებში ჩართვა. აღნიშნული შეფასების შედეგად გამოვლენილი 4 უმაღლესი ქულის მქონე მასწავლებელი დაწესებულებამ დააჯილდოვა პრაღაში მოგზაურობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევას.

2. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ მიხედვით, აკადემიაში პერსონალის კმაყოფილების და საჭიროებების კვლევა ტარდება საჭიროების შესაბამისად, მინიმუმ წელიწადში ერთხელ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით(კითხვარების შევსება; ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრა და სხვა), კვლევა ტარდება ადამიანური რესურსების მენეჯერის და ხარისხის სამსახურის კოლაბორაციით. შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას კოლეჯის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. შეფასების შედეგების შესაბამისად შესაძლოა, განისაზღვროს პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროება. ასეთ შემთხვევაში მენეჯერი შეფასებულსა და მის უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს პერსონალის განვითარების გეგმას და უზრუნველყოფს მის აღსრულებას. ადამიანური რესურსების მენეჯერთან შეხვედრის დროს მან წარმოგვიდგინა 2023-2024 წლების პერსონალის განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს განსახორციელებელ ტრენინგებს, რესურსებს, სამიზნე პოზიციებს, მიზნის მიღწევის ინდიკატორებს და შესრულების ვადებს. გარდა აღნიშნულისა, დაწესებულებაში დასაქმებულია ფსიქოლოგ-კონსულტანტი, რომელიც ჩართულია პერსონალის საჭიროების დადგენაში ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გზით. **ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება კოლეჯის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით.**

3. აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის იყენებს შემდეგ მექანიზმებს: პროფესიული განვითარების ღონისძიებებს და საკონსულტაციო შეხვედრებს; ხელს უწყობს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში და სხვადასხვა სამთავრობო/არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ კოლეჯთან თანამშრომლობით დაგეგმილ ტრენინგებზე, სემინარებზე, სამუშაო შეხვედრებში და სხვა განმავითარებელ აქტივობებში მონაწილეობა. აკადემია გამოყოფს ფინანსურ რესურსს ტრენინგებზე/კონფერენციებზე და სხვა აქტივობებზე მონაწილეობის მიზნით. პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები კოლეჯის საგანმანათლებლო და საორგანიზაციო საქმიანობაში და შესაბამისად ხშირად ესწრებიან ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს და ა.შ. აღნიშნული ასევე დასტურდება კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებული ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალით. **ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

4. „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ შესაბამისად, აკადემიაში ახლადდანიშნული თანამშრომლის სოციალიზაცია და ადაპტაცია-ორიენტაციის პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი და ადმინისტრაციის წარმომადგენლები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. მენეჯერი ახლადდანიშნულ თანამშრომელს აცნობს კოლეჯის მიზნებს, ღირებულებებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე შინაგანაწესის მოთხოვნებსა და კოლეჯში მოქმედ რეგულაციებს, პროცედურებსა და წესებს. გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას და განუმარტავს თუ რას გულისხმობს არსებული სამუშაო და რა მოთხოვნები იქნება წაყენებული მის მიმართ, როგორ და რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი მომავალში და ახლადდანიშნულ დასაქმებულთან ერთად განიხილავს იმ საჭირო ორიენტირებს, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში მენეჯერი და უშუალოდ ხელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთობლივად ადგენენ კონკრეტულ ტრენინგ-პროგრამას ახალი თანამშრომლისათვის, სადაც მითითებულია რა დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები/პრაქტიკული კომპეტენციები უნდა განივითაროს თანამშრომელმა. **ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. აკადემიის შინაგანაწესი განსაზღვრავს წახალისების სახეს თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის და გამოიყენებს ერთ ან რამდენიმე წახალისების ფორმას. წახალისების ფორმებია: მადლობის გამოცხადება; ფულადი ჯილდო(პრემია); ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ხელფასის მომატება; მის მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიების გაქარწყლება; თანამდებობრივი დაწინაურება. დისციპლინური წახალისების გამოყენების უფლება აქვს რექტორს, რომელიც განსაზღვრავს დისციპლინური წახალისების სახეს. წახალისების ღონისძიებების შესახებ განსაზღვრულია, ასევე, პერსონალის მართვის პოლიტიკით. დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულება ხშირად მიმართავს თანამშრომელთა წახალისების ღონისძიებებს. მაგალითად, 2023 წელს დაწესებულებამ შეფასების შედეგად 4 ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი დაჯილდოვდა სამოგზაურო პაკეტით პრაღაში. **ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 8.12. 2021 №1/40 ბრძანებით (ცვლილება 12.10.2023 №1/54) დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სტრუქტურით;
- „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საშტატო განრიგი, პოზიციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები“;
- აკადემიის შინაგანაწესი;
- აკადემიის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- 2023-2024 წლების პერსონალის განვითარების გეგმა;
- პესონალის წახალისების შესახებ ბრძანებები;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას საკუთრებაში აქვს: ქ. თბილისში წერონისის ქ. №208-ში 750 კვ.მ მიწის ნაკვეთზე შენობა საერთო ფართით 1059.82კვ.მ. ჩოდრიშვილის №2/ცოტნე დადიანის №26-ში 270 კვ.მ მიწის ნაკვეთზე შენობა, საერთო ფართით 591.57 კვ.მ და ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში იჯარის უფლებით 31/12/2031-მდე გადაცემული აქვს 290კვ.მ. შენობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ფორმები სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით. ასევე წარმოდგენილია მფლობელობაში და საკუთრებაში არსებული შენობების აზომვითი ნახაზები და სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასაქონლო ზედნადებები, მიღება-ჩაბარების აქტები. დოკუმენტაციის შესწავლით და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შემდეგი ფართების ფლობა:

   ქ. თბილისში წერონისის №208-ში:

   - ფოიე;
   - A გარემოები თეორიული სწავლებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის მინიმალური აღჭურვილობით დაკომპლექტებული C გარემოები;
- სივრცე ადმინისტრაციისთვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის,
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის.

ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში:

- ფოიე;
- A გარემოები თეორიული სწავლებისთვის;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის მინიმალური აღჭურვილობით დაკომპლექტებული C გარემოები;
- სივრცე ადმინისტრაციისთვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- ბიბლიოთეკა;
- სამედიცინო კაბინეტი;
- სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის,
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის.

კოლეჯი კეთილმოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, პანდუსებით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახები უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით. ასევე დაწესებულებაში ექსპერტების ვიზიტის დროს მოეწყო სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. ასევე, მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსების გამოყენების წესის შესაბამისად, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი რეალურად იყენებენ დაწესებულების ინფრასტრუქტურას, მათ შორის, საერთო სარგებლობის სივრცეებს და მატერიალურ რესურსებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.2. -ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.**

3. დაწესებულებაში (ორივე ლოკაციაზე, ყველა შენობაში) რეგულარულად ხდება დასუფთავება. შემუშავებულია დალაგების უზრუნველყოფის წესი, რომლითაც განსაზღვრულია სივრცეების, მათ შორის სასწავლო და სამუშაო სივრცეების, დასუფთავების წესი და პერიოდულობა. აკადემიაში თბილისში, წერონისის ქ. №208-ში დასაქმებულია დასუფთავების 2 სპეციალისტი, ხოლო საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში დასუფთავების 1 სპეციალისტი, რომლებსაც დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, ევალებათ კოლეჯის ტერიტორიაზე სისუფთავისა და სანიტარული-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა, სათანადო ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფა სამუშაო და სასწავლო პროცესისათვის, დაწესებულებასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე სისუფთავისა და სანიტარული-ჰიგიენური პირობების დაცვა. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და თანამშრომლებმა ორივე ლოკაციაზე დაადასტურეს, რომ კოლეჯში ყოველთვის დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.**
4. **დაწესებულების შენობა-ნაგებობა ორივე ლოკაციაზე, (თბილისი, წერონისის ქ. №208 და საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №14ვ) უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით,** რაც დასტურდება ადგილებზე ვიზუალური დათვალიერებითა (ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გათბობა ჩაირთო) და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით. **ინდიკატორი 5.1.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
5. დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთა სამუშაო აღწერილობები ითვალისწინებს შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის შემუშავება/დანერგვას, დაწესებულების ობიექტებში (ყველა ლოკაციაზე) კანონმდებლობის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების პირობების დანერგვას, დასაქმებული პირებისათვის სტანდარტების შესაბამისად შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნას, კუთვნილი ტექნიკის ექსპლუატაციისათვის უსაფრთხოების ზომების შემუშავება და მათი რეალიზაციის გზების დანერგვა, ინსტრუქტაჟების შემუშავებასა და ტრენინგის/სწავლების/ინსტრუქტაჟების ორგანიზება/ჩატარება სამუშაო ადგილებზე შრომის დაცვის მიზნით და ა.შ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა, შეფასებული აქვს რისკები ორივე ლოკაციაზე, (თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში). ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები ჩატარებული ინსტრუქტაჟების შესახებ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ორივე ლოკაციაზე. ინტერვიუს შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულებაში აქტიურად მიმდინარეობს საჭირო აქტივობები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვის მიზნით. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.5.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.**
6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 52-ე მუხლით განსაზღვრულია სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალების შეძენა, ნედლეულის შენახვის და გახარჯულის აღრიცხვის წესი, რომლის შესაბამისადაც, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით მატერიალური რესურსების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რექტორის დავალებით ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის დაწყებამდე, მასალა ნედლეული ინახება მისთვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილას - „საწყობში“, პროფესიული განათლების მასწავლებელს გადაეცემა მოდულით განსაზღვრული მასალე-ნედლეული, რომელიც მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად ახორციელებს მათ გამოყენებას, დარჩენილი მასალა-ნედლეული უბრუნდება საწყობს; მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად აღრიცხვას ელექტრონულ ჟურნალში ახორციელებს მატერიალური რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი. .თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე აკადემია მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შესაბამის ინსტრუქციებში მითითებული შენახვის წესების დაცვით. მატერიალურ რესურსების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ პროცესი ხორციელდება დაწესებულების დადგენილი წესის შესაბამისად. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.6.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.**

7. აკადემიის რექტორის №2/13 ბრძანებით (31.01.2022) დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ცვლილება შესულია: რექტორის №2/139 (08.09.2023), რომლის შესაბამისადაც დაწესებულება მუდმივად ახორციელებს მატერიალური რესურსების შეფასებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარის ფორმები, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. კითხვარების ანალიზის და ანგარიშებიდან ნათლად ჩანს, წლების განმავლობაში მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსების განვითარების პროცესი, რასაც ასევე ადასტურებს პროფესიულ სტუდენტებთან, მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.7.-ის მოთხოვნა დაცულია, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.**
8. **პსდ-ს ყველა შენობა-ნაგებობაში ორივე ლოკაციაზე (თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და ხოლო საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში) მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.** თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში ორივე ლოკაციაზე შშმ პირებისთვის მოწყობილია სპეციალური სანიტარული კვანძები. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.8.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
9. დაწესებულების ყველა შენობაში კორპუსში, ორივე ლოკაციაზე, სასწავლო აუდიტორიებს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; ყველა სასწავლო გარემოში, ბიბლიოთეკაში, არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. **ამდენად, ინდიკატორი 5.1.1.9. დაკმაყოფილებულია, ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.**
10. ექსპერტთა მიერ დაწესებულების შენობების დათვალიერების შედეგად ორივე ლოკაციაზე, დადგინდა, რომ **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას კოლეჯის შენობაში, ინდიკატორი 5.1.1.10.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
11. დაწესებულების რექტორის 28.07.2020 წლის №2/60 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (ცვლილება 2022 წლის 18 იანვრის რექტორის №2/5 ბრძანებით), რომლის შესაბამისადაც, ბიბლიოთეკა წარმოადგენს აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასრულებს სასწავლო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ფუნქციებს, აქტიურად უწყობს ხელს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის, სასწავლო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვას. ამავე წესით გაწერილია სამუშაო საათები, მკითხველის უფლება-მოვალეობები ქცევის წესები და წიგნის გატანა/დაბრუნების ვადები. წესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის როგორც ბიბლიოთეკაში ასევე, ვებ გვერდზე, ელექტრონული კატალოგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო რესურსის მარტივ მოძიებას. კატალოგი შედგენილია როგორც მატერიალური ბარათებით, ასევე ელექტრონულად და შემუშავებულია წიგნის გატანის აღრიცხვის წესი. ბიბლიოთეკარმა წარმოადგინა საინვენტარიზაციო ჟურნალი, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა წიგნადი ფონდი და დადგინდა, რომ დაცულია წიგნის დამუშავების საბიბლიოთეკო წესი. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.1.11.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან და აზომვითი ნახაზები;
- დაწესებულების მიერ შევსებული ფორმები სტანდარტით გათვალისწინებული სივრცეების ფლობასთან დაკავშირებით;
- მატერიალური რესურსის შესყიდვის/გადმოცემის დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის საინვენტარიზაციო წიგნი;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- სასწავლო რესურსის გაცემის აღრიცხვის ჟურნალები;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- დალაგების უზრუნველყოფის წესი;
- მასალების და ნედლეულის შესყიდვის მტკიცებულებები;
- პროფესიული სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან და მისი პირადი საქმე, სპეციალისტის სერტიფიკატი;
- ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან და მისი პირადი საქმე, სპეციალისტის სერტიფიკატი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მასალა-ნედლეულის, ინვენტარის მოთოვნისა და მიღება-ჩაბარების აქტები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების და ფაქტობრივი მდგომარეობის შეფასების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია აკრედიტებული ინსპექტირების ორგანოს, მიერ გაცემული დასკვნა ორივე ლოკაციაზე (ქ. თბილისში, წერონისის №208-ში და ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში) შენობების ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივების მოთხოვნებს.
   ასევე წარმოადგინა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული დადებითი დასკვნები ორივე ლოკაციაზე არსებული შენობების სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის ვიზუალური დათვალიერებით ჩანს, რომ დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, ყველა სივრცეში დამონტაჟებული კვამლის აღმომჩენი დეტექტორები , ხოლო გარე და შიდა პერიმეტრები უზრუნველყოფილია ვიდეოკონტროლის სისტემით.
   ამდენად, ინდიკატორი 5.1.2.1.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულების შენობაში უსაფრთხოების მიზნით მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.
2. აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით დამტკიცებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები. დაწესებულებაში ფუნქციონირებს პირველი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ოთახი, რომელიც უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი დახმარების საშუალებებით. აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი არის შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი (თბილისი, წერონისის ქ. 208-ში), ხოლო საჩხერეში, აკადემიის რექტორის ბრძანებით ექთნის მოვალეობის შესრულება დავალებული აქვს სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტს, რომელსაც ექსპერტთა შეფასებით უდასტურდება საჭირო კვალიფიკაცია. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ საჭიროებისამებრ ისინი სარგებლობენ შესაბამისი მომსახურებით.
   ინდიკატორი 5.1.2.2.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.
3. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შემუშავებული და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. შექმნილია შესაბამისი შტაბი, გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები, აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ შტაბის წევრები, ასევე ჩატარებულია ინსტრუქტაჟები საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ, რასაც ადასტურებს, როგორც დასწრების ფურცლები ასევე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები. 2022 წელს აკადემიაში შსს საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა იმიტირებული სწავლება საგანგებო სიტუაციების მართვაში, რომელშიც ჩართულნი იყვნენ აკადემიის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.1.2.3.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. აკადემიაში წესრიგის დაცვის საკითხები დარეგულირებულია რექტორის №2-143 (17.11.2021) ბრძანებით (ცვლილება: რექტორის №2-143 ბრძანება (08.09.2023) დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებით, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრულია აკადემიაში დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის კომპანია „შერიფთან“, რომელიც უზრუნველყოფს თბილისში, წერონისის ქუჩაზე მდებარე ობიექტის დაცვის პულტზე აყვანას 24/7-ზე. საჩხერეში მდებარე ობიექტის დაცვის მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება დაცვის სპეციალისტთან, რომლის სამუშაო აღწერილობა განისაზღვრება რექტორის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციებით. ექსპერტებმა დაათვალიერეს აკადემიის ორი განყოფილება (ქ. თბილისში, წერონისის 1. №208 და ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №14ვ) და გაარკვიეს, რომ შენობები აღჭურვილია უსაფრთხოების კამერებით (რომელიც იწერს მხოლოდ გამოსახულებას) რომელიც განთავსებულია შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე, იმ სივრცეებში სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი გამოკრულია გამაფრთხილებელი ნიშნები.
ამდენად, ინდიკატორი 5.1.2.4.-ის მოთხოვნა დაცულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს „რეალექსპერტის“ დასკვნები ქ. თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში მდებარე შენობების მდგრადობასთან დაკავშირებით;
- შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილები ქ. თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში (ძველი მისამართი: ქ. საჩხერე ივანე გომართელის ქ. №10) მდებარე შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ;
- აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით პასუხისმგებელ პირთან გაფორმებული ხელშეკრულება/სამუშაოს აღწერილობა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან;
- ჩატარებული ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- რექტორის №2-143 (17.11.2021) ბრძანებით (ცვლილება: რექტორის №2-143 ბრძანება (08.09.2023) დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- დაცვის კომპანია „შერიფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებები;
- შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემის შემოწმების შედეგი;
- ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის ორივე ლოკაცია ქ. თბილისში, წერონისის ქ. №208 და ქ. საჩხერეში ივანე გომართელის ქ. №14ვ, აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. იძლევა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვის შესაძლებლობას. არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა არის საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოთხოვნილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის შესაბამისი. დაწესებულება იყენებს ელექტრონული სერვისების მართვის სისტემას, რომელშიც გაერთიანებულია სასწავლო პროცესის მართვის სერვისი. სასწავლო პროცესის სერვისში გათვალისწინებულია კოლეჯის პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების რეესტრი.
   აკადემიაში, ორივე ლოკაციაზე ხელმისაწვდომია, როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი.
   IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირების ფასდება აკადემიის რექტორის 28.07.2020 წლის №2/60 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება N2/176 (24.10.2022) დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების წესის“ თანახმად, რომლის შესაბამისადაც, დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. ამასთან, კოლეჯი სისტემატიურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მონიტორინგს, რაც გულისხმობს როგორც მათ ტექნიკურ შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში, შეუსაბამობების აღმოფხვრას, ისე პროგრამულ უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ.

დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის იანვარი-მარტში ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში, მათ შორის, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობასთან დაკავშირებით. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. კოლეჯში IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანი ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებითა და კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. აკადემიის რექტორის 28.07.2020 წლის №2/60 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება N2/176 (24.10.2022) დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების წესის“ შესაბამისად, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ხორციელდება რისკების მართვა, რაც აერთიანებს კოლეჯის პასუხისმგებელი პირების გადაწყვეტილებებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციის სტრატეგიულ დაგეგმვა, მმართველობასა და ყოველდღიურ ოპერირებაზე. ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა გულისხმობს: რისკების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებას იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგები მოყვება მათ კოლეჯის ფუნქციონირებასთან მიმართებაში და მათი ხდომილების ალბათობა, ამ რისკების დადგომის ალბათობას და მათ შესაძლო შედეგებს, მათ შესახებ ინფორმირებულობის არსებობას; რისკებთან მოპყრობის პრიორიტეტულობის დადგენას, რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ჩართული დაინტერესებული პირებს და მათ ინფორმირებულობას რისკების მართვის სტატუსის შესახებ, რისკებისა და რისკების მართვის პროცესის რეგულარულ მონიტორინგსა და განხილვას, რისკების მართვისადმი მიდგომის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ინფორმაციის შეგროვებას, თანამშრომლების ინფორმირებულობას რისკებისა და მათი შემცირების შესახებ. IT რისკების მართვას უზრუნველყოფს აკადემიის კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი. მასთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ საჭიროების შესაბამისად ის ატარებს კოლეჯის თანამშრომელთა და პროფესიულ სტუდენტთა ტრენინგს ინფორმაციული რისკებისა და მათი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. აკადემიის შინაგანაწესის მე-5 თავით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის პირობები და პასუხისმგებლობა, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კოლეჯის მიერ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის თანხმობის ფურცლები, კოლეჯის მიერ მათი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენების გზით დაადგინა, რომ კოლეჯში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

4. დაწესებულების მატერიალური რესურსების გამოყენების წესის შესაბამისად, აკადემია აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, რისთვისაც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას; შედეგების საფუძველზე განხორციელდება მათი გაუმჯობესება. დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შესწავლისა (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) და IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმების შედეგებისა და შემდეგ მათზე რეაგირების შესახებ. ასევე წარმოდგენილია კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათი IT ინფრასტრუქტურის შემოწმებისა და შეკეთებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. დაწესებულების მატერიალური რესურსების გამოყენების წესის შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კოლეჯში ორივე ლოკაციაზე ხელმისაწვდომია კაბელიანი და უკაბელო ინტერნეტი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის და მომსახურების გაწევაზე პასუხისმგებელია კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტი. კოლეჯმა წარმოადგინა ინტერნეტ პროვაიდერებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ორივე ლოკაციისთვის.

   დაწესებულებამ წარმოადგინა კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც გამოიკვეთა, რომ კოლეჯში არის პროფესიულ სტუდენტთა განვითარებისათვის აუცილებელი IT ინფრასტრუქტურა და კოლეჯის პროფესიული სტუდენტები შეუფერხებლად სარგებლობენ მისით. პროფესიული სტუდენტების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისასაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. დაწესებულების მატერიალური რესურსების გამოყენების წესის მე-2 მუხლის შესაბამისად, აკადემია უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ახალი თანამშრომლის სამსახურში მიღების ან სტუდენტის/მსმენელის რეგისტრაციის მომენტში ახორციელებს ინფორმირების ერთიანი საკომუნიკაციო ბაზების შევსებას, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი მიერ მითითებული ელექტრონული მისამართი წარმოადგენს მასსა და კოლეჯს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ოფიციალურ გზას და აღნიშნულ მისამართზე კოლეჯის მხრიდან გაგზავნილი ყველა სახის ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად. თანამშრომელი სამსახურში მიღების ან სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია, რომ ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში არაუგვიანეს ერთი დღისა შეატყობინოს კოლეჯს აღნიშნულის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან განხორციელებული ინტერვიურებისას დადასტურდა კოლეჯის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემის ეფექტიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 28.07.2020 წლის №2/60 ბრძანებით (ცვლილება: ბრძანება N2/176 (24.10.2022) დამტკიცებული „მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“;
- ინტერნეტპროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შემოწმების/განახლების/შეკეთების (კომპიუტერული ტექნიკა, პრინტერი/სკანერი, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) IT ვირუსისგან დამცავი სისტემის შემოწმება/აღრიცხვის განახლებადი დოკუმენტი;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- აკადემიის შინაგანაწესი;
- კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათი;
- კოლეჯის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და პასუხისმგებელ პირებთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის №2/167 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ცვლილება ბრძანება №2/124 (26.07.2023)), რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებზე მუშაობის წესს. წესის დაცვა სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის. საქმისწარმოების წესი არეგულირებს საქმისწარმოების ერთიან წესებსა და პროცედურებს, ელექტრონული და მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემას, დოკუმენტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოძრაობას მათი მიღების ან შექმნის მომენტიდან საბოლოო შესრულებამდე, გაგზავნამდე ან საქმეში მოთავსებამდე, დოკუმენტების დაარქივებას და დოკუმენტების განადგურების პროცედურებს. კოლეჯის საქმისწარმოების წესით განსაზღვრული დებულებები არაა წინააღმდეგობაში საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

2. კოლეჯში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (შემდგომში - სისტემა) საშუალებით, შესაბამისი პროგრამის - „eflow"-ის მეშვეობით. ელექტრონული საქმისწარმოება გულისხმობს დოკუმენტის მიღებას, დამუშავებას, რეგისტრაციას, მატერიალური ფორმით შემოსული დოკუმენტის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ადრესატისათვის დაუყოვნებლივ გადაგზავნას და შენახვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

3. დაწესებულება ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. ასევე მოხდა გასაუბრება რეესტრზე პასუხისმგებელ პირთან. ასევე ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება ენახათ რეესტრის მონაცემები, შედეგად დადასტურება, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. **დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან,** რაც დასტურდება მათ მიერ მიღებული დავალებებისა და გაგზავნილი პასუხების საფუძველზე. ძირითადად შემოსულ კორესპონდენციაზე პასუხისმგებლობა ენიჭება საქმისმწარმოებელს, რომელსაც მოეთხოვება გონივრულ ვადებში შემოსული დოკუმენტაციის მიწოდება შესაბამისი პირებისათვის. ექსპერტების მიერ გასაუბრება შედგა კომპეტენტურ პირთან, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული. **ინდიკატორი 5.2.2.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 2021 წლის 21 დეკემბრის №2/167 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ცვლილება ბრძანება №2/124 (26.07.2023);
- პროფესიული განათლების მართვის სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის - რეესტრის წარმოების სპეციალისტის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.bta.edu.ge/bta_new/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/bta.edu.ge. ვებგვერდზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია კოლეჯის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. კოლეჯის ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებისას გათვალისწინებულია ინფორმაციის გონივრულ ვადებში მიღების ინტერესი; ვებგვერდის ნავიგაცია მარტივია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში.
   ვებგვერდს, ისევე, როგორც დაწესებულების ფეისბუქ გვერდს, გააჩნია როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო ფუნქცია. კოლეჯის მიერ წარმოდგენილია დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ვებგვერდის განახლებასთან დაკავშირებით.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1. დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.
2. დაწესებულების მისიაა მრავალპროფილური საგანმანათლებლო საქმიანობა, მომხმარებლებისათვის ინოვაციური მიდგომებით მაღალი ხარისხის სასწავლო-სამუშაო პირობების შეთავაზება. აკადემიის მისწრაფებაა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა, ადამიანური კაპიტალის უწყვეტი განვითარება, რაც განსაზღვრავს მის როლს ეროვნულ და საერთაშორისო სივრცეში. აკადემიას გააჩნია ინგლისურენოვანი ვებგვერდი: https://www.bta.edu.ge/bta_new/en/.
   ამდენად, ინდიკატორი 5.2.3.2. დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების აქტივობების, მიღწევების, პარტნიორობის და სხვა არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება.
   აკადემიის რექტორის 23.07.2020 წლის №2/56 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის №2-142 ბრძანებით (08.09.2023) დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს როგორიცაა, ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვა, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსებაზე პასუხისმგებელი პირი და ამ პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.
4. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023“, სადაც მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია; კოლეჯის ისტორია, მისია, ხედვა და ღირებულებები; ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, პროფესიული სტუდენტის შეფასების, სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტების სერვისების, პროგრამების განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესახებ და მოცემულია ფოტო კოლაჟი. განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი. კატალოგში მოცემული ინფორმაცია რელევანტურია და ემსახურება დაინტერესებულ პირთათვის კოლეჯის შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებული, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.
5. კოლეჯი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რის დასტურადაც კოლეჯის მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი, 2020, 2021, 2022 წლები, კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023.
   ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.
6. აკადემიის რექტორის 23.07.2020 წლის №2/56 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის №2-142 ბრძანებით (08.09.2023) დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის შესაბამისადაც, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოლეჯში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პროცესში, გაცნობიერებულია უკუკავშირის დადებითი ეფექტები. კოლეჯში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. ანალიზს წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით.
   დაწესებულების თანამშრომლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიზნებისათვის აქტიურად იყენებს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მისთვის მიწოდებულ სოციალური ქსელის გვერდიდან, კოლეჯის ვებ-გვერდიდან და სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების, აპლიკანტების, მათი მშობლების, კოლეჯში სწავლის გაგრძელების მსურველი პირების უკუკავშირი, მათი მოწერილობები, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოიყენება პროცესების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს კოლეჯი იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდია: https://www.bta.edu.ge/bta_new/ და სოციალური ქსელი - ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/bta.edu.ge;
- ინგლისურენოვანი ვებგვერდი: https://www.bta.edu.ge/bta_new/en/;
- დომენისა და ჰოსტინგის ფლობის დოკუმენტები;
- აკადემიის რექტორის 23.07.2020 წლის №2/56 ბრძანებით (ცვლილება: რექტორის №2-142 ბრძანებით (08.09.2023) დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი 2023;
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის არქივი 2020, 2021, 2022 წლები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით არის რეგისტრირებული, შესაბამისად ძირითადი დაფინანსების წყაროა დამფუძნებლების შენატანები. კოლეჯი ასევე იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას. საბიუჯეტო პროცესი არის საჯარო და გულისხმობს დამტკიცებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტის, მისი შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობას. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტი. **ინდიკატორი 5.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება.**

2. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტების მიხედვით კოლეჯის საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. **ინდიკატორი 5.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ, დაწესებულება ყოველწლიურად ამზადებს ფინანსურ და სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშებს. ასევე, ავტორიზაციის დებულების მოთხოვნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ყველა ავტორიზებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ დადგენილი წესით განათავსოს ყოველწლიური ფინანსური ანგარიში ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაწესებულებას აღნიშნული ანგარიშები ატვირთული აქვს შესაბამის ვებგვერდზე. **ინდიკატორი 5.3.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. დაწესებულების მიერ ვებგვერდზე განთავსებულია სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები და სამოქმედო გეგმები. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებით ისინი ანალიზს უკეთებენ ყოველწლიურ ანგარიშებს, აფასებენ საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად გეგმავენ შემდეგი წლის აქტივობებს. **ამდენად, ინდიკატორი 5.3.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- პორტალზე განთავსებული ფინანსური ანგარიშები;
- პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208; ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №14ვ
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	80 კოოპერაციული (50 - ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208 30 - ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №14ვ)
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	80 კოოპერაციული (50 - ქ. თბილისი, წერონისის ქ. №208 30 - ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქ. №14ვ)
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება
ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ შემუშავებულია აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ამ დოკუმენტის თანახმად, პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ,პროფესიულ სტუდენტთა/ აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რის შესაბამისადაც, დღევანდელ ტექნოლოგიურ ერაში მათი საჭიროება როგორც ბიზნესში, ისე სამთავრობო სტრუქტურებში ძალიან მაღალია. IT პროფესიონალებზე მაღალ მოთხოვნას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Linkedin-ის 2020 წლის ივნისის თვის მონაცემებიც ადასტურებს, რომლის მიხედვითაც დღეს მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი პროფესია IT დეველოპერია. ბიზნესისა თუ საჯარო სექტორის მხრიდან დეველოპერებზე მაღალი მოთხოვნის არსებობა ჩვენმა 2020 წლის დასაქმების ბაზრის კვლევამაც დაადასტურა, რომლის მიხედვითაც IT პროფესიონალებზე მოთხოვნა ერთ-ერთ მოწინავე ადგილს იკავებს. (წყარო http://www.insource.ge/ge/node/501). IT კომპანიებში (თბილისი (GBC), მათ შორის ვირტუალური ზონის პირის (ვზპ) სტატუსის მქონე კომპანიებში, რომლებიც საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ, 2022 წელს საშუალო ხელფასი 4 500 ლარს შეადგენდა, რაც საქართველოში საქსტატის მიერ დაფიქსირებულ საშუალო ხელფასს (2022 წლის IV კვარტალი), 1 773 ლარს 2,53–ჯერ აღემატება. Georgian Tech survey-ის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2022 წელს ინდუსტრია ყველაზე მაღალშემოსავლიანად რჩება, თუმცა შრომის ანაზღაურება აღნიშნული სტატუსის მქონე ITკომპანიებში რამდენიმე ნიშნით არის დივერსიფიცირებული. ასაკობრივ ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ 27–29 და 35–39 წლის IT სპეციალისტები ყველაზე მაღალ ხელფასს იღებენ, რაც საშუალოდ 8 500 ლარს შეადგენს. ყველაზე დაბალი ხელფასი კი 15–17 წლის ასაკობრივ ჯგუფზე მოდის – 1 250 ლარი. (წყარო - https://gbc.ge/index.php/news/business/it-industriashi-sashualo-khelfasi-qveynis-sashualos-25-jer-aghemateba).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 თებერვლის ბრძანებით ისევ განისაზღვრა კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მოდულებისაგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი ვაუჩერული დაფინანსების მიღების მიზნით, 2023 წლის პრიორიტეტები. 061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები როგორც შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მიმართულება სახელმწიფოს მიერ დასახელებულია პრიორიტეტულად და დაფინანსებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ასევე, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ, რომლის მიზანია დასაქმების შესაძლებლობის გაზრდა და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გატარება, 2023 წლის 3 მაისს კომპლექსური ანალიზის საფუძველზე, წარმოადგინა საქართველოს მასშტაბით 2023 წლის ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები. მათ შორის არის ინფორმაციის ტექნოლოგიები.

ამასთან, ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ინფორმაციის ტექნოლოგიების კოოპერაციულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2018 წლიდან. აღნიშნული პროგრამა მოთხოვნადია როგორც დამსაქმებელთა ასევე აპლიკანტების მხრიდან. 2021 წლის მიღების ფარგლებში 50 ადგილზე რეგისტრირებული იყო 153 აპლიკანტი, 2022 წლის მიღებისათვის 269, ხოლო 2023 წლის მიღების ფარგლებში - 279.

პროგრამა, გარდა თბილისისა, ხორციელდება აკადემიის ქ. საჩხერის განყოფილებაში. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია საჩხერის განყოფილებაში ინფორმაციის ტექნოლოგიების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2019 წლიდან. აკადემია ერთადერთი დაწესებულებაა რომელიც ქ. საჩხერისა და ქ. ჭიათურის რაიონებში ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და შესაბამისად ერთადერთი პროვაიდერია აღნიშნული დარგის სპეციალისტების მომზადების კუთხით. 2021 წლის მიღების ფარგლებში 30 ადგილზე რეგისტრირებული იყო 66 აპლიკანტი 2022 წლი მიღებისათვის 30 ადგილზე რეგისტრირებული იყო 68 აპლიკანტი. საჩხერის მუნიციპალიტეტის მერიამ, ასევე ქ. საჩხერის ორმა საჯარო სკოლამ დაწესებულებას მომართა წერილით, სადაც აღნიშნა, რომ რაიონში დეფიციტურია კვალიფიციური კადრი და მნიშვნელოვანი და საჭიროა გაიზარდოს კურსდამთავრებულთა რაოდენობა.

ინფორმაციის ტექნოლოგიების, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ექნება ყველა საჭირო კომპეტენცია, რომელიც საშუალებას მისცემს გახდეს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი, რაც წარმატებული დასაქმებისა გარანტიაა. კოლეჯის, მისიის და სტრატეგიული გეგმიდან, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მიერ პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფამ, რაც გამოიხატება სახელმწიფო ვაუჩერული დაფინანსებით, აპლიკანტთა რაოდენობის ზრდამ განაპირობა ამ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს საბაზო განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში (დამტკიცებული აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით, სადაც განსაზღვრულია: პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის პროცედურები. ამავე წესითაა განსაზღვრული ასევე პროფესიული სტუდენტის მობილობის, სწავლის შედეგების აღიარებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესები.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“, რომლის მე-5 მუხლით განსაზღვრულია პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. პროგრამისათვის „ინფორმაციული ტექნოლოგია“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა განსაზღვრულია ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ამ წესის თანახმად, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვისას მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა და დატვირთვა, შესაბამისი სასწავლო სივრცის A,B და C გარემოების არსებობა და მასში სტუდენტთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის საჭირო რაოდენობა.
პროგრამისათვის „ინფორმაციის ტექნოლოგიისათვის“ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა -- პროფესიული სტუდენტის ოდენობით.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას დაწესებულების ორივე ლოკაციაზე.

ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.4. მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგიას“ არ გააჩნია არჩევითი მოდულები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.5. 5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის №2/169 ბრძანებით. (ცვლილებები შესულია 15.06.2020წ №2/42, 2020 წლის 30 სექტემბრისა და 2021 წლის 5 ნოემბრის ბრძანებებით. პროგრამის დამტკიცებულის უფლებამოსილება განსაზღვრულია შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდებით“, რომლის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, რექტორი ამტკიცებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ამასთან, აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, რექტორის მოადგილის სასწავლო დარგში წარდგინებით კოლეჯის რექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცების შესახებ და პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.1.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. პროგრამა „ინფორმაციული ტექნოლოგია“ შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ საფუძველზე. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული იღებს საბაზო პროფესიული კვალიფიკაციას ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში. **ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.7.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. პროგრამით „ინფორმაციული ტექნოლოგია“ შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე. პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, კვალიფიკაციის მინიჭება, ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 61 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 17 (6 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 44 კრედიტი (8 მოდული) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 76 კრედიტია.
ამდენად, ინდიკატორი 2.1.1.8.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 2022 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
  შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკიცებულია აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით);
- შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის წესდება (დამტკიცებულია აკადემიის პარტნიორთა კრების მიერ 2019 წლის 20 ივნისს);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“ (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით);
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი/ცვლილების აქტი (დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის 2019 წლის 11 ოქტომბრის №2/169 ბრძანებით. (ცვლილებები შესულია 15.06.2020წ №2/42, 2020 წლის 30 სექტემბრისა და 2021 წლის 5 ნოემბრის ბრძანებებით);
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „ინფორმაციული ტექნოლოგიის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია სულ 80 პროფესიული სტუდენტით, მათ შორის, 50 პროფესიული სტუდენტი ქ. თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და 30 პროფესიული სტუდენტით - ქ. საჩხერე, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ-ში.
   ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება ორივე ლოკაციაზე.
   ქ. თბილისში, წერონისის ქ. №208-ში პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის მითითებით გაფორმებული აქვს შესაბამის ორგანიზაციებთან.
   სასწავლო გარემო
   - პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი 27 ც
   - პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი 1ც
   - კომბაინი(ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი) 1ც
   - პროექტორი 1ც
   - დაფა 1ც
   - პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა და სკამი 27 ც
   - მაგიდა დემონსტრირების 4 ც და პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო მატერიალური რესურსები და დაშლილი კომპიუტერები
   - პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა;

   აკადემიას პრაქტიკის ხელშეკრულებები -გაცნობითი პრაქტიკა- გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:
   - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ თბილისის 112 საჯარო სკოლა -მისაღები სტუდენტების რაოდენობა 25;
   - შპს "სქაინეთ დისტრიბიუშენ"-მისაღები სტუდენტების რაოდენობა 25.

   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით ერთ ცვლაში შესაძლებელია 27 პროფესიულ სტუდენტის სწავლება, ხოლო ორ ცვლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია 54 პროფესიული სტუდენტის სწავლება.
   ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქუჩა №14 ვ-ში პროგრამის განხორციელებისათვის აკადემიას საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ხელშეკრულებები სტუდენტთა რაოდენობის მითითებით გაფორმებული აქვს შესაბამის ორგანიზაციებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემო, აუდიტორია №3

- პროფესიული სტუდენტის სამუშაო მაგიდა/სკამი , კომპიუტერი - 18 ც
- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო მაგიდა/სკამი, კომპიუტერი 1ც
- კომბაინი(ქსეროქსი, პრინტერი, სკანერი) 1ც
- პროექტორი 1ც
- დაფა 1ც
- მაგიდა დემონსტრირების და პროგრამით გათვალისწინებული სადემონსტრაციო მატერიალური რესურსები და დაშლილი კომპიუტერები
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა;

გაცნობითი პრაქტიკის მემორანდუმები გაფორმებული აქვს შემდეგ ორგანიზაციებთან:

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ. საჩხერის №1 საჯარო სკოლა 20 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლა -20 პროფესიული სტუდენტი;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია ერთ ცვლაში 18 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ორი ცვლის გამოყენებით 2*18 =36 პროფესიული სტუდენტის მიღება-სწავლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.1.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ განხორციელების მიზნით, აკადემიას ქ. თბილისში განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. ქ. საჩხერეში დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად განსაზღვრული ჰყავს 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან, 5 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი. თითოეულ დარგობრივ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი პირი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და სასწავლო გეგმის თანახმად, მათი საათობრივი კვირეული დატვირთვა, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. რაც დასტურდება პირადი საქმეების შესწავლითა და მათთან გასაუბრებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან კონკურსის/გასაუბრების გზით, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ისინი აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით. **ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ორი თანახელმძღვანელი თბილისსა და საჩხერეში, რომელნიც ჩართული არიან პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელების ხელშეკრულებებში გაწერილია მათი ფუნქცია-მოვალეობები, რაც გულისხმობს, როგორც კონკრეტული მოდულების განხორციელებას, ისე პროგრამის ადმინისტრირების პროცესებში ჩართულობასა და მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვას. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელებს და შეამოწმეს მათი პირადი საქმეები. პროგრამის ხელმძღვანელებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს რომ მონაწილეობენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობენ მოდულის სპეციფიკას (ზოგადი, სტანდარტული და დამხმარე ჩანაწერები), შეფასების ფორმებს და შეფასების ინსტრუმენტებს. **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.2.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ორივე ლოკაციაზე, ქ. თბილისში, წერონისის ქ. №208-ში და ქ. საჩხერეში, ივანე გომართელის ქ. №14ვ-ში. საგანმანათლებლო რესურსების ბმულები განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკებში, ორივე ლოკაციაზე, ელექტრონული სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ბიბლიოთეკებში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**
6. აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 03.10.2023 №2/157 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სსსმ პირების წვდომის უზრუნველყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება სრულად მზადყოფნაშია, საჭიროების შემთხვევაში დაუბრკოლებლად გაუწიონ მომსახურება სსსმ პირებს.
ამდენად, ინდიკატორი 2.2.1.6.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის შედგენილია ბიუჯეტი, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, პროფესიულ სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. ბიუჯეტით პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა შესაძლებელია ჯგუფში მინიმუმ 15 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში. შემოსავლების ნაწილი მოიცავს ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო ხარჯვითი ნაწილი შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: ადმინისტრირების ხარჯი; პროფესიული განათლების მასწავლებლის ანაზღაურების ხარჯი; პრაქტიკის ხარჯი; მასალა-ნედლეულის ხარჯი; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერისა და არაფორმალური აქტივობების ხარჯები; პერსონალის განვითარების/წახალისების ხარჯები; მატერიალური რესურსების განახლების ხარჯები; რეკლამისა და საიმიჯო ღონისძიებების ხარჯები; კომუნალური ხარჯები, სესხის ,ქონების, საპენსიო და სხვა გადასახადი; სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯი. ბიუჯეტით პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის განსაზღვრულია 45000 ლარი ერთი ჯგუფის სწავლებისთვის, რაც სავსებით რეალურად დაფარავს წარმოდგენილ ხარჯებს. **შესაბამისად დასტურდება, რომ ინდიკატორი 2.2.1.8 შესაბამისობაშია და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სრული პაკეტი;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობა (აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა (აკადემიის თანამდებობრივი ინსტრუქცია (დებულება);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის“ განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულებები;
- გასაუბრებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის რექტორის 2023 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებულია „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომლის მე-3 მუხლით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ წესის შესაბამისად, სასწავლო პროცესის შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით); ასევე შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუშაობის თუ სწავლების ხარისხის შეფასება პროცესზე დაკვირვების მეთოდით. ამავე დოკუმენტით გაწერილია იმ პირთა და პროცესების წრე, რომელთა კვლევის შედეგადაც ხდება შეფასება.

აღნიშნულის გარდა, აკადემიაში ხარისხის მართვის სისტემის პროცესების მართვა ხორციელდება ISO 9001:2015 -ის მოთხოვნებისა და შიდა ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად და მისი შენარჩუნება ხდება ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შიდა აუდიტის ჩატარებითა და ხელმძღვანელობის მხრიდან არსებული მდგომარეობის გაანალიზებით ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის მიერ შესაბამისი პროცესების შეფასების შედეგებით. აკადემიის პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან და საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონაცემების შეგროვება, მონაცემების დამუშავება და მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა, რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

წარმოდგენილი მტკიცებულებების და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ე.წ. დემინგის ციკლის შესაბამისად. **ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.3.1.1.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ..**

2. აკადემიის რექტორის 2023 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს განხორციელებული შეფასებების შედეგების ანალიზს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები რეაგირებისთვის ეგზავნება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს/თანამშრომელს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება, პერიოდები გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში, ასევე შესაძლებელია გაიწეროს სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. განმეორებითი შეფასებები იძლევა გამოყენებული მექანიზმების ეფექტიანობის შეფასების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და განიხილეს პროგრამის შეფასებისა და განვითარების რამდენიმე შემთხვევა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ფარგლებში, .სასწავლო პროცესის მიმდინარეობის კვლევის შედეგად, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ გაიცა რეკომენდაცია სასწავლო გეგმის გადახედვასთან დაკავშირებით, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელებმა მიმართეს აკადემიის რექტორს, 2022-23 წლის მიღების ფარგლებში პროგრამის განხორციელების კიდევ ერთი ციკლის დასრულების შემდეგ, მოდულებში სასწავლო რესურსების გაახლებასთან დაკავშირებით. გარდა აღნიშნულისა, პროგრამის ხელმძღვანელებმა მიმართეს რექტორს და აცნობეს, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას პრაქტიკის ობიექტები უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ერიდებიან ორგანიზაციის შიდა ქსელის ლოგიკური და ფიზიკური ტოპოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ხშირ შემთხვევაში „პრაქტიკის ობიექტის“ IT სპეციალისტები ზღუდავენ ლოკალურ სისტემებთან წვდომას პრაქტიკანტებისთვის. ამიტომ პრაქტიკის ობიექტებზე დაგეგმილი რამდენიმე სასწავლო ვიზიტი -ექსკურსიები ეხება ძირითადად მათი IT ინფრასტუქტურის და მუშაობის სპეციფიკის გაცნობას. აკადემიაში არსებული ქსელური ინფრასტრუქტურა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სპეციფიკით მოწყობილი კომპიუტერული ლაბორატორია, სრულად უზრუნველყოფს „პრაქტიკული პროექტის" მოდულის სწავლის შედეგების მიღწევას, მიზანშეწონილად ვთვლით, რომ პრაქტიკული პროექტის მოდული განხორციელდეს სრულად სასწავლო დაწესებულებაში არსებულ C გარემოში. აღნიშნულის შედეგად, განხორციელდა ცვლილება პროგრამაში და მოდულის „პრაქტიკული პროექტის" განხორციელება ნაცვლად პრაქტიკის ობიექტისა, განხორციელდება აკადემიის სასწავლო საწარმოში.

ამდენად, ინდიკატორი 2.3.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 2023 წლის 31 იანვრის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები";
- კვლევების შედგების ანალიზი;
- პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გასაუბრებების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიამ წარმოადგინა აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. **ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**
2. ვიზიტის ფარგლებში სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ პირსა და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. ინდიკატორი 2.4.1.2.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში. **ინდიკატორი 2.4.1.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 03.10.2023 №2/157 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ამ დოკუმენტის შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ინგ-ს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ამავე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურა.

   აკადემიის პერსონალთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ირკვევა, რომ დაწესებულება პრაქტიკაში ზედმიწევნით ახორციელებს მარეგულირებელ წესში გაწერილ პროცედურას. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, მეცადინეობებზე დასწრებისა და შევსებული ანკეტის საფუძველზე, მიმართავს აკადემიის რექტორს, მოდულის ფარგლებში ინდივიდუალური გეგმის შედგენის შესახებ. აკადემიის რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის მიზნით. სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს ისგ-ს, რომელიც განხილვის შემდეგ მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.1.4.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.
5. აკადემიის რექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის №2/192 ბრძანებით დამტკიცებულია „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი“, რომლის მე-4 მუხლით განსაზღვრულია ის კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პარტნიორი ორგანიზაცია და ასევე ის აუცილებელი რეკვიზიტები, რასაც უნდა მოიცავდეს მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

   პროგრამის ერთი მოდულის „გაცნობითი პრაქტიკის“ ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები ქ. თბილისსა და ქ. საჩხერეში 4 დაწესებულებასთან. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული პრაქტიკის ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი დაწესებულების მარეგულირებლით განსაზღვრული პირობები. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.5.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ-ს თანამშრომლობა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი, რომლითაც განსაზღვრულია უსაფრთხოების ის ნორმები, რომელიც სავალდებულოდ უნდა დაიცვან სასწავლო პროცესში ჩართულმა პირებმა.
   პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი იცნობენ ზემოაღნიშნულ უსაფრთხოების ნორმებს. ამასათან, სასწავლო აუდიტორიებშიც გამოკრულია უსაფრთოხების წესი.
7. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.1.6.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ სასწავლო გეგმა;
- აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 03.10.2023 №2/157 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიის რექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის №2/192 ბრძანებით დამტკიცებულია „შუალედური შეფასების, საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის წესი“;
- აკადემიის რექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- აკადემიის რექტორის ბრძანება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი;
- გასაუბრების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესი, რომლის შესაბამისადაც, კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება არის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიდგომა, როცა შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესი მთლიანად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებაზე. შეფასების სისტემა უნდა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. კოოპერაციულ პროგრამებში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება არის ინსტრუმენტი რომელიც ზომავს მოდულების სწავლის შედეგების ათვისების ხარისხს და შემდგომი სწავლებისათვის არსებულ პოტენციალს. განმავითარებელი შეფასება ახდენს პროფესიული პროფესიულ სტუდენტის მოტივაციას და უზრუნველყოფს მაღალ ჩართულობას შემდგომ საგანმანათლებლო პროცესში. პროფესიული სტუდენტი გამოსცდის საკუთარ კომპეტენციას, როგორც თეორიული ცოდნას, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევებს. განმავითარებელი შეფასება ერთგვარი პროგრამის განხორციელების შეფასების ინსტრუმენტია და ეხმარება როგორც პროფესიულ პროფესიულ სტუდენტს, ისე პროგრამის განმახორციელებელ პირს, უწყვეტი გადასინჯვის, შეფასებისა და გაუმჯობესებისათვის საჭირო ბაზას შექმნის.

დაწესებულებას აქვს დანერგილი ახალი პრაქტიკა, რომლის შესაბამისადაც, პროგრამის განმახორციელებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს მოდულის ფარგლებში მინიმუმ 1 (ერთი) განმავითარებელი შეფასების ჩატარება. როგორც დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ აღნიშნული პრაქტიკა საკმაოდ კარგად აისახება პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და აკადემიური მოსწრების შედეგებზე.

პროფესიული სტუდენტის შეფასების წესით ასევე განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის/შემუშავების/განვითარების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებულ მოთხოვნები, ინსტრუმენტების ვალიდაცია. საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, შეფასების პროცესის ადმინისტრირება/მართვა, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების წესი, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, მტკიცებულებების მოპოვების, აღრიცხვისა და შენახვის წესი, ასევე შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები.

ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლეს დაწესებულების შეფასების ინსტრუმენტები, ვალიდაციის დოკუმენტები, ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნულისა და დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის, ხარისხის მართვის მენეჯერსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ **ინდიკატორი 2.4.2.1. -ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;**

2. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 47-ე მუხლი ითვალისწინებს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას, რომლის შესაბამისადაც, ვერიფიკაცია არის დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. მექანიზმი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია, მასზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში შესაძლებელია სხვა პირები იყვნენ ჩართულნი(განათლების/დარგის ექსპერტები, სოციოლოგი, და სხვა) ვერიფიკატორი არ უნდა იყოს ის პირი, რომელმაც ინსტრუმენტი შეიმუშავა ან მონაწილეობდა შემუშავების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი რექტორს მოხსენებითი ბარათით წარუდგენს ვერიფიკაციის გეგმის პროექტს და ვერიფიკაციის განხორციელებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტაციების პროექტებს(საჭიროების გათვალისწინებით) დასამტკიცებლად. დოკუმენტების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების რექტორი ქმნის ვერიფიკაციის ჯგუფს და განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელს, ჯგუფის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი ან რექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული სხვა პირი. აკადემიაში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით ირკვევა, რომ დაწესებულება ზედმიწევნით ასრულებს მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ პროცედურას ვერიფიკაციასთან მიმართებაში. დაწესებულებამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რექტორის მიერ დამტკიცებული ვერფიკაციის გეგმა-გრაფიკი, რისკ-ფატორები (ცალ-ცალკე თბილისისა და საჩხერის განყოფილებებისათვის), რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ვერიფიკაციის განხორციელების მიზნით, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები, პროგრამების ხელმძღვანელები და პროფესიული განათლების მასწავლებლები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გამოთხოვილ იქნა სასწავლო პროცესის სამსახურიდან შესაბამისი მოდულების შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, ასევე შეფასების უწყისები, ვერიფიკაციის ჯგუფისათვის ელექტრონულ პლატფორმაზე შეიქმნა შემდეგი ფორმები: შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის კითხვარი, ვერიფიკატორის შესავსები შეფასების პროცესის ვერიფიკაციის კითხვარი, შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის კითხვარი, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შესავსები შეფასების პროცესის ვერიფიკაციის კითხვარი. ვერიფიკაციის ჩატარებამდე ვერიფიკატორებს ჩაუტარდათ მოსამზადებელი ინსტრუქტაჟი, რომელიც ითვალისწინებდა მონაწილეების როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას შეფასების პროცესში. სამუშაო პროცესში ვერიფიკაციის შედეგები დაფიქსირდა აღნიშნულ კითხვარებში. ვერფიკაციის შედეგად ვერფიკაციის ჯგუფმა გასცა რამოდენიმე რეკომენდაცია, მაგალითად, შემუშავდეს დაკვირვების სქემა და ინტენსიურად განხორციელდეს დაკვირვება შეფასების პროცესზე; სასწავლო პროცესის თანამშრომლებმა არ ჩაიბარონ მტკიცებულება ტექნიკური/შინაარსობრივი მხარის შემოწმების გარეშე; განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჯგუფური/ინდივიდუალური შეხვედრები/კონსულტაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა: შეფასების დაგეგმვა, პროფესიულ სტუდენტთა ინსტრუქტაჟი, შეფასების პროცესის წარმართვა, მტკიცებულებებისადმი მოთხოვნები და ა.შ.

ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.2.-ის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პროფესიული სტუდენტის შეფასების მარეგულირებელი წესის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, .მტკიცებულებები უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება სასწავლო პროცესის თანამშრომლებთან, პროგრამების მიხედვით ინდივიდუალურ საქაღალდეებში, ან ელექტრონულად, რათა ის ხელმისაწვდომი გახდეს შიდა და გარე ვერიფიკატორებისათვის. შემდგომ ხდება მათი განადგურება ისე რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს, შესაბამისი კომისიის მიერ ხდება ოქმის შედგენა. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების პროფესიული სტუდენტის მიღწევების ამსახველი მტკიცებულებები პორტფოლიოში ინახება დადასტურების კომისიის ოქმის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც მონაცემები არქივდება და ინახება 5 წლის განმავლობაში.

   დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულება შეფასების უწყისებს ინახავს უვადოდ, ხოლო შეფასების მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. დაწესებულებამ წარმოადგინა შეფასების მტკიცებულებების განადგურების ოქმი, რომლის შესაბამისადაც განადგურდა ხანდაზმული შეფასების მტკიცებულებები.

   ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი 2.4.2.3.-ის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პროფესიულ სტუდენტთა შემდგომი განვითარებისათვის, აკადემია ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს. პროფესიული სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია პერსონალური მონაცემები. დაუშვებელია ჯგუფში კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის იდენტიფიცირების პირობებში მისი შეფასების გასაჯაროება, თუ ამაზე პროფესიულ სტუდენტს არ აქვს გამოხატული თანხმობა (სიტყვიერად ან წერილობით). შედეგები ასეთ შემთხვევაში განზოგადოებულად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა იქნეს განხილული. კონკრეტული პროფესიულ სტუდენტის შედეგები მასთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე უნდა იქნეს განხილული. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია უნდა იქნას საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. **ამდენად, ინდიკატორი 2.4.2.4. დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის რექტორის 31.01.2022 წლის №2/13 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 03.10.2023 №2/157 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები: დამტკიცებული ვერიფიკაციის გეგმა-გრაფიკი, რისკ-ფაქტორები, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის კითხვარები;
- ვერიფიკაციის შედეგების ანალიზი;
- ხანდაზმული შეფასების მტკიცებულებების განადგურების ოქმი;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

01.12.2023წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: